ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**g-41. 41241213**
თარიღი:**30/04/2024**

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმინისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 29 მარტის №22 დადგენილების 2-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, დანართის შესაბამისად.
2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თნასწორობის საბჭოს 2023 წელს გაწეული საქმიანობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე .
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ, სენაკი, შ რუსთველის ქ. №247)

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
,,გენდერული თანასწორობის საბჭოს ‘’2023 წლის
საქმიანობის ანგარიში

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის 1 პუნქტის ,,ლ“ ქვეპუნქტის თანახმად დოკუმენტში წარმოდგენილია სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,, გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის 2023 წლის წლიური ანგარიში.

,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის 1 პუნქტის ,,ლ’’ ქვეპუნქტის თანახმად დოკუმენტში წარმოდგენილია სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,, გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის წლიური ანგარიში 2023 წლის 7 თებერვლიდან 2024 წლის 17 აპრილის ჩათვლით.

საბჭოს დებულების თანახმად , მის ძირითად ამოცანებს, ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს შორისაა:

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ეროვნული სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით შეიმუშაოს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა და უზრუნველყოს ამ გეგმის შესრულების კოორდინაცია;

ბ) საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის წარმართვა;

გ) სენაკის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზის განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავება;

დ) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავება და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთვის წარდგენა;

ე) განახორციელოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შესრულებული ან მიმდინარე მუშაობის მონიტორინგი და შეფასება გენდერული თვალსაზრისით;

ვ) საკანონმდებლო აქტების პროექტებისა და სენაკის მუნიციპალიტეტის ორგანოების სამართლებრივი აქტების პროექტების ექსპერტიზა გენდერული თანასწორობის შეფასების თვალსაზრისით, საჭიროების შემთხვევაში წინადადებების შემუშავება და შესაბამისი ორგანოსთვის წარდგენა;

ზ) გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის ცალკეული ღონისძიებების შემუშავება და დაგეგმვა;

თ) გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა, ასევე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

ი) გენდერული თანასწორობის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის და დოკუმენტაციის გამოთხოვა და მიღება, გარდა ისეთი დოკუმენტებისა, რომელთა კონფინდეციალურობაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

კ) გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე წარდგენილი განცხადებების, დოკუმენტაციის და სხვა ინფორმაციის განხილვა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მათზე რეაგირების მოხდენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ლ) საბჭოს საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება და წელიწადში ერთხელ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის წარდგენა

2023 წლის 7 თებერვალს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა , დამტკიცდა ქალაქ სენაკის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა, რომელიც 2023-2024 წლების პერიოდზე გაიწერა.ზემოხსენებული დოკუმენტის დამტკიცებას წინ უძღოდა სამუშაო შეხვედრა.

2023 წლის 14 თებერვლას , სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ საბა ოდიშარიამ, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი ,,სოხუმის“ წარმომადგენლებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა, სადაც საკრებულოსა და ფონდი ,,სოხუმის“ სამომავლო, ერთობლივ თანამშრომლობაზე ისაუბრეს

2023 წლის 24 თებერვალს ,USAID“-ის პროგრამის ფარგლებში, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი ,,სოხუმი“, ექვს მუნიციპალიტეტში ახორციელებს პროექტს ,,ადამიანური უსაფრთხოების - ფიზიკური/საზოგადოებრივი უსაფრთხოების შეფასება“. პროექტის გათვალისწინებით, ინდივიდუალური ინტერვიუს ფარგლებში, ფონდი ,,სოხუმის“ წარმომადგენელმა სენაკში, მზია ბიგვავამ, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით კითხვები დაუსვა, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრს, ბადრი კალანდარიშვილს.

პროექტი, მესამე წელია მიმდინარეობს და ყოველ ჯერზე სხვადასხვა აქტუალურ საკითხს ითვალისწინებს. ინტერვიუების შეჯამების შემდგომ, გაკეთდება ანალიზი და პროექტის პრეზენტაცია.

2023 წლის 28 თებერვალს, ფონდი „სოხუმის“ ინიციატივით სამოქალაქო ფორუმი გაიმართა თემაზე: „ქალები, მშვიდობა, უსაფრთხოება, გაეროს რეზოლუცია 1325-ის სამოქმედო გეგმის ადგილობრივ დონეზე განხორციელების ხელშეწყობა“ფორუმში მონაწილეობდნენ სენაკის, ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურების წარმომადგენლები, ქალთა სამუშაო ჯგუფების წევრები. ფორუმის მეორე ნაწილში ჯგუფური მუშაობის ფორმატით განისაზღვრა გაეროს რეზოლუცია 1325 -ის სამოქმედო გეგმის ლოკალიზაციის სამომავლო პერსპექტივები ცალკეულ მუნიციპალიტეტებში .

2023 წლის1 მარტს საქართველოს პარლამენტისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)ორგანიზებით, შვედეთისა და დანიის მთავრობების მხარდაჭერით ,,პოლიტიკური ფორუმი

გენდერული თანასწორობისთვის'' გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ საბა ოდიშარიამ, მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ გადელიამ, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ინგა ქარდავამ, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილემ მანანა გვიჩიამ და მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნანა ზარანდიამ.

ღონისძიების მონაწილეებმა გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკა და ამასთან დაკავშირებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური საკითხები განიხილეს. ასევე გაიმართა მსჯელობა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის გაღრმავების გზებზე ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.

2023 წლის 5 დეკემბერს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივითა და სენაკის რაიონული პროკურატურის მონაწილეობით, გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის - „არა ფემიციდს" ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

სენაკის რაიონული პროკურორის მოადგილე, თეიმურაზ ჯალაღონიამ და პროკურატურის საქმისწარმოების უფროსმა, ლატავრა კობახიძემ, შეხვედრის მონაწილეებს, მიაწოდეს ინფორმაცია ფემიციდის, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის, ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების და დღეს არსებული გამოწვევების შესახებ, ასევე მოეწყო დოკუმენტური ფილმის ჩვენება ფემიციდის დანაშაულებებთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების გამომწვევ მიზეზებსა და გენდერული სტერეოტიპების განხილვას.

ფემიციდის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის მიზანი, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ფემიციდის დანაშაულების პრევენციაა.

#არაფემიციდს

2023 წლის 8 დეკემბერს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ინგა ქარდავამ, საბჭოს მდივანმა, მანანა გვიჩიამ და საბჭოს წევრებმა, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, მიმდინარე 16 დღიანი "ნარინჯისფერი კამპანიის" ფარგლებში, საინფორმაციო ბუკლეტები დაარიგეს სენაკის ცენტრალურ ქუჩაზე და შეხვედრა გამართეს ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ქალბატონებთან.

საინფორმაციო ბუკლეტში განმარტებულია და შეხვედრაზე ითქვა, რა არის ფემიციდი, რა არის გენდერული ძალადობა, როგორ ისჯება ოჯახში ძალადობა სისხის სამართლის კოდექსის მიხედვთ, რა უფლებები აქვს ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, რა მექნიზმები არსებობს მსხვერპლის დასაცავად და საჭიროების შემთხვევაში ვის უნდა მიმართონ დახმარებისათვის.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანია, ყოველწლიურად 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით იმართება

2023 წლის 23 ივნისს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის განხილვა.

საგრანტო კონკურსი მეწარმე ქალებისთვის ,,ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით“.

2023 წლის 17 ოქტომბერს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის განხილვა.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს, საგრანტო კონკურსის ,,ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა“ ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების შემფასებელი კომისიის დებულების გაცნობა-დამტკიცება.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს, საგრანტო კონკურსია ,,ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობისთვის“ კომისიის წევრების არჩევის შესახებ.

2023 წლის 8 ნოემბერს ,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ინგა ქარდავა, საბჭოს მდივანი, მანანა გვიჩია და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, მუნიციპალიტეტის თემების რწმუნებულებს შეხვდნენ და მათ საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ,,ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა“ შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს

2023 14 ნოემბერს საგრანტო კონკურსის კომისიის წევრები შეხვდნენ სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მეწარმე ქალბატონებს შეხვდნენ და მათ საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ,,ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა“ შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

2023 წლის 27 ოქტომბერს ენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭომ, გამოაცხადა საგრანტო კონკურსი ,,ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა“.მიზანი - ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა!

2023 წლის 28 ნოემბერს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში, სენაკში მცხოვრებ და რეგისტრირებულ, მცირე მეწარმე ქალბატონების მიერ წარმოდგენილი განაცხადების განხილვა გაიმართა.

საბჭოს წევრებისაგან შემდგარმა კომისიამ, 15 განაცხადი განიხილა.

2023 წლის 1 დეკემბერს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის გამარჯვებულები გამოვლინდნენ.

15 განაცხადის განხილვის შემდეგ, საბჭოს წევრებისაგან შემდგარი კომისიის წევრების გადაწყეტილებით, 10000 ლარიანი დაფინანსება 2 გამარჯვებულ კონკურსანტზე თანაბრად გადანაწილდება.

2023 წლის 4 დეკემბერს საბჭომ საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვა გამარჯვებულები . ირმა ადამია - პროექტით „ორანჟერეა“ და ვენერა ხახუბია-ესებუა - პროექტით ,,არტ სამყარო ჩვენ სივრცეში“.

ირმა ადამიამ, პანდემიის პერიოდში, ჰობის გათვალისწინებით, დაიწყო ყვავილების მოვლა-მოყვანის, დაკალმების და დაფესვიანების შესწავლა, ქოთნის დეკორატიული ყვავილების გამოყვანა და ინტერნეტით რეალიზება. თანდათანობით ცნობადობისა და მომხმარებლის ზრდასთან ერთად, დარგის შესწავლა დაიწყო ცნობილ მებაღეებთან. ამჟამად მას არ ჰყოფნის სივრცე ქოთნების დასაწყობად და ყვავილებისათვის სათანადო კლიმატნეიტრალური გარემოსათვის. გამარჯვებული პროექტის ამოცანაა, შეიქმნას „ორანჟერეა", ახალი სივრცე, სადაც მოიყვანს და გაამრავლებს, როგორც ერთწლიან ყვავილებს, ასევე მრავალწლიან მარადმწვანე დეკორატიულ ხე-მცენარეებს. "ორანჟერეა" მისცემს საშუალებას დაასაქმოს ახალგაზრდა ქალბატონი, ასწავლოს მას მებაღეობა-მეყვავილეობა და მასაც მისცეს შანსი გახდეს ეკონომიკურად დამოუკიდებელი.

ვენერა ხახუბია-ესებუას წარმოდგენილი პროექტის თანახმნად, 12 მოსწავლეს შესაძლებლობა ექნება შეისწავლოს ხალხური რეწვის ტრადიციულ ხელსაქმე და ხის დამუშავების და ხეზე მუშაობის ტექნიკა. ამავდროულად მოხდება მეწარმული ჩვევების შესწავლა და ხელშეწყობა. მათ შესაძლებლობა ექნებათ გაიცნონ და დაეუფლონ ხალხური რეწვის ტრადიციულ ხელსაქმეს, შეისწავლონ, დახელოვნდნენ და აითვისონ ხალხური ხელობის დარგები. გოგოები შეისწავლიან რამდენიმე მიმართულების ხელსაქმეს, კეძოდ თექაზე მუშაობას, კერვას, ქსოვას, ხოლო ბიჭები შეისწავლიან ხისაგან ტრადიციული მეგრული ჩიჩილაკის გათლის ხელოვნებას და ხეზე ამოწვის ტექნიკას. გამარჯვებული პროექტი ითვალისწინებს, საქართველოში ხალხური რეწვის ცოცხალი ტრადიციების შენარჩუნებას, დარგის განვითარების ხელშეწყობას, პოპულარიზაციასა და მომავალი თაობის ჩართულობას.

პროექტის ფარგლებში, მოხდება დარგის ერთი სპეციალისტის, თავად პროექტის ავტორისა და მისი თანაშემწის (შშმ) დასაქმების ხელშეწყობა და ეკონომიური გაძლიერება.

გენდერული თანასწორობის საბჭოს , მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის

განხორციელებაში ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას, მათი უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარ და ეფექტიან რეალიზებას, ამ უფლებათა რეალიზების

თანაბარი შესაძლებლობების შექმნას!

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში გენდერულ თანასწორობაზე

ორიენტირებული, მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა!

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი დახმარების უზრუნველსაყოფად , სპეციალური ღონისძიებების გატარება.

სექსუალური შევიწროების პრევენციისა მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება!

ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტთა მოტივაცია და მათ მიმართ სოლიდარობის გამოხატვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშემწყობი და მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება.

რაც შეეხება სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ სხვა მიზნებს, მათზე მუშაობა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება გაგრძელდება .